ჯაბა მესხიშვილი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

იაპონიის შემადგენლობაში ოკინავას დაბრუნების საკითხი

აბსტრაქტი

მეორე მსოფლიო ომის მიწურულს, ამერიკელმა სამხედროებმა იაპონიის კუთვნილი, ოკინავას პრეფექტურა დაიკავეს და საკუთარ ადმინისტრირებას დაუქვემდებარეს, ხოლო 1951 წლის „სან-ფრანციკოს სამშვიდობო შეთანხმებით“, საკუთარი პოზიციები კიდევ უფრო გაიმყარეს. შეთანხმების მიხედვით, იაპონიამ აშშ-ს ოფიციალურად, დროებით დაუთმო ოკინავას პრეფექტურის მართვა, სადაც ამერიკული სამხედრო ბაზები განთავსდა.

ოკინავას პრეფექტურის იაპონიის შემადგენლობაში დაბრუნება იაპონიისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხად იქცა. თავის მხრივ, ოკინავაზე არსებულ სამხედრო ბაზებს აშშ-სთვის სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნდა, ამიტომ ოკინავას იაპონიისთვის დაბრუნება მარტივად მოსაგვარებელი არ იყო, თუმცა მსოფლიოში მომხდარმა გეოპოლიტიკურმა ცვლილებებმა, ასევე იაპონიაში არსებულმა განწყობებმა, გავლენა მოახდინა პროცესის დაჩქარებაზე და ვაშინგტონი იძულებული გახდა, ოკინავას საკითხთან დაკავშირებით ტოკიოსთან მოლაპარაკებების დაწყებას დათანხმებოდა.

1969 წლის მიწურულს აშშ-სა და იაპონიას მოხდა შეთანხმება, რომლის შედეგად ოკინავას პრეფექტურის დაბრუნების შესახებ ოფიციალური მოლაპარაკებების პროცესი დაიწყო. 1971 წლის 17 ივნისს „იაპონიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის შეთანხმება რიუკიუს კუნძულებისა და დაიტოს კუნძულების შესახებ“ ოფიციალურად გაფორმდა. შეთანხმება ძალაში შევიდა 1972 წლის 15 მაისს და ოკინავას პრეფექტურა 27 წლიანი განშორების შემდეგ იაპონიის შემადგენლობაში დაბრუნდა. სანაცვლოდ, აშშ-მ კვლავ შეინარჩუნა, როგორც ოკინავას პრეფექტურაში, ასევე მთლიანად იაპონიის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების განთავსების უფლება.

საკვანძო სიტყვები: *აშშ-იაპონიის ურთიერთობები, ოკინავას დაბრუნება.*

შესავალი

მეორე მსოფლიო ომის მიწურულს, ოკინავას პრეფექტურა ამერიკულმა სამხედროებმა დაიკავეს და სამართავად ამერიკულ ადმინისტრირებას დაუქვემდებარეს. 1951 წელს, ოკინავაში საკუთარი პოზიციები „სან-ფრანციკოს სამშვიდობო შეთანხმებით“ კიდევ უფრო გაიმყარეს. შეთანხმების მიხედვით, იაპონიამ აშშ-ს ოფიციალურად, დროებით დაუთმო ოკინავას პრეფექტურის მართვა.

„სანამ ოკინავა არ დაუბრუნდება სამშობლოს, ჩვენი ომის შემდგომი პერიოდი არ დასრულდება,“ - განაცხადა იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ეისაკუ სატომ 1965 წელს ოკინავაზე სტუმრობის დროს. მისი სიტყვები იყო, ძალიან სიმბოლური,

რომლის შემდეგ ოკინავას იაპონიის შემადგენლობაში დაბრუნების პროცესი შეუქცევადი გახდა.

სატო იყო პირველი პრემიერ-მინისტრი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ოკინავას ესტუმრა და ღიად მოითხოვა პრეფექტურის კვლავ იაპონიის შემადგენლობაში დაბრუნება. 1969 წლის ნოემბერში აშშ-სა და იაპონიას შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის შედეგად ორ ქვეყანას შორის დაიწყო ოკინავას პრეფექტურის დაბრუნების შესახებ ოფიციალური მოლაპარაკებები. 1971 წლის 17 ივნისს გაფორმდა „იაპონიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის შეთანხმება რიუკიუს კუნძულებისა და დაიტოს კუნძულების შესახებ“, რომელიც პირდაპირ ეთერში გადაიცა თანამგზავრული ტელევიზიით. შეთანხმება ძალაში შევიდა 1972 წლის 15 მაისს და ოკინავას პრეფექტურა 27 წლიანი განშორების შემდეგ კვლავ დაბრუნდა იაპონიის შემადგენლობაში.[1]

ნაშრომში განხილული იქნება სხვადასხვა გარემოებები და ფაქტები, რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ოკინავას პრეფექტურის იაპონიის შემადგენლობაში დაბრუნებაზე.

ოკინავას პრეფექტურის ისტორიული წარსული

ოკინავას პრეფექტურა მდებარეობს იაპონიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. დღესდღეობით მისი მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით 1 400 000 ადამიანია. პრეფექტურა შედგება 160 კუნძულისგან, ხოლო საერთო ფართობი 2 200 კმ²-ს შეადგენს, რაც იაპონიის მთლიანი ტერიტორიის დაახლოებით 0.6%-ია.[2] საკითხის უშუალოდ განხილვამდე, სიტუაციის უკეთ გასაგებად, მოკლედ მიმოვიხილავთ ოკინავას პრეფექტურის ისტორიას.

1429 წელს შო ჰაშიმ რიუკიუს სამეფო დაარსა. სტრატეგიული მდებარეობის გამო, დროთა განმავლობაში კუნძულები ერთგვარ სავაჭრო ჰაბად ჩამოყალიბდა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებდა იაპონიას, კორეას, ჩინეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სხვადასხვა ნაწილებს.[3]

XVII საუკუნეში საცუმას (იაპონია) ფეოდალმა იეჰირო შიმაძუმ ყურადღება მიაქცია რიუკიუს სამეფოს მდიდარ რესურსებსა და ვაჭრობიდან მიღებულ სარგებელს, ამიტომ მისი დამორჩილება გადაწყვიტა. მან 1609 წელს დაიპყრო რიუკიუს სამეფო და შიმაძუს კლანის ვასალად აქცია. ამის შემდეგ მოვლენები საინტერესოდ განვითარდა: მართალია რიუკიუს სამეფო ნომინალურად

---

[1] 「琉球諸島及び大東諸島に関する日本国とアメリカ合衆国との間の協定・御署名原本・昭和四十七年・第一三巻・条約第二号」, 国立公文書館. „იაპონიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის რიუკიუს კუნძულებისა და დაიტოს კუნძულების შესახებ შეთანხმება, ორიგინალი იმპერიული ხელმოწერით, 1972, ტომი 13, ხელშეკრულება №2“, იაპონიის ეროვნული არქივი.
Accessed 2025.08.21. https://www.archives.go.jp/ayumi/kobetsu/s47_1972_02.html

[2] 大城 由希江、「沖縄の日本本土復帰とメディア報道」、 日本国立公文書館. იოშიჰირო იუკიე, „ოკინავას დაბრუნება იაპონიაში და მედიაში გაშუქება“, იაპონიის ეროვნული არქივი. accessed 2025.09.12. https://www.nippon.com/ja/in-depth/a08203/

[3] 「琉球／琉球王国」、 世界史の窓. „რიუკიუ/ რიუკიუს სამეფო“. მსოფლიო ისტორიის ფანჯარა. accessed 2025.09.11. https://www.y-history.net/appendix/wh07-035.html

დამოუკიდებელი სამეფოს სტატუსს ინარჩუნებდა, მაგრამ ფაქტობრივად ემორჩილებოდა შიმაძუს საფეოდალოს, იმავდროულად სიუზერენად აღიარებდა ჩინეთსაც. მაგალითად, ახალი შოგუნის (იაპონიის ფაქტობრივი მმართველი) დანიშვნისას, რიუკიუს სამეფო ელჩებს ედოში (დღევანდელი ტოკიო) მისალოცად გზავნიდა. ხოლო ცინგის დინასტიის (1644-1911 - ჩინეთი) დაარსების შემდეგ, ჩინელებსაც ყოველწლიურად უგზავნიდა ხარკს.[4]

1868 წელს დაწყებული მეიჯის რეფორმების ფარგლებში იაპონიამ დაიწყო ქვეყნის ახლებურად მოწყობის გეგმის განხორციელება. გეგმის მთავარი მიზანი იყო, ცენტრალურ ხელისუფლებას მაქსიმალურად ეკონტროლებინა ტერი-ტორიები, რომლებიც მსხვილ ფეოდალებს ემორჩილებოდა. ამიტომ, პირველ რიგში, რეფორმა შეეხო იაპონურ საფეოდალოებს - ჰანებს.[5] ყველაფერი დაიწყო იმით, რომ 1869 წელს, ხელისუფლების ოთხმა მთავარმა მხარდამჭერმა ფეოდალმა, საკუთარი ჰანები იმპერატორ მეიჯის დაუბრუნეს საკუთრებაში (ტოსას, საცუმას, ჩოშუს და ჰიძენის ჰანები). მათ მაგალითს სხვა ფეოდალებმაც მიბაძეს და იმავე წლის ივნისამდე იმპერატორს თავიანთი ჰანები დაუბრუნეს. ხოლო ვინც უარი განაცხადა, ძალით ჩამოართვეს სამფლობელოები. 1869 წლის ივლისში რეფორმის ძირითადი ნაწილი განხორციელდა: ჰანების ნაცვლად შეიქმნა კენი (პრეფექტურა), რომელთა სათავეში ცენტრალური ხელისუფლების დანიშნული მმართველები - კენრეი დანიშნეს (კენრეი - პრეფექტურის მმართველი), რითაც ქვეყნის ცენტრალიზების პროცესი თითქმის დასრულდა.[6]

პირველ ეტაპზე რეფორმა არ შეხებია რიუკიუს სამეფოს, რომელიც იაპონიის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობდა. თუმცა, 1872 წელს, 450 წლიანი ისტორიის მქონე რიუკიუს სამეფო სტატუსი გაუუქმეს და მის ნაცვლად რიუკიუს ჰანი შექმნეს. 1879 წელს რიუკიუს ჰანის ნაცვლად ოკინავას პრეფექტურა დაარსეს. ოკინავას პრეფექტურის მმართველად, არა რიუკიუს სამეფო შტოს წარმომადგენელი, არამედ ცენტრალური ხელისუფლების გამოგზავნილი კენრეი დანიშნეს.[7]

რიუკიუს განსაკუთრებული მდგომარეობის გამო, მეიჯის ხელისუფლება ოკინავას მიმართ ფრთხილ პოლიტიკას ატარებდა: ერთი მხრივ, ადგილობრივ კულტურას ინარჩუნებდა, მეორე მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობის განათლების მიზნით სკოლები დაარსდა და რიუკიუს დიალექტზე შექმნილი სახელმძღვანელოებით იაპონური ენის სწავლება დაიწყო. იაპონური ენის სწავლების მიზანი იყო, რიუკიუს იაპონიზაციის პროცესის წახალისება. ჩინეთ-იაპონიის ომში (1894-1894) იაპონიის გამარჯვების შემდეგ, იაპონიის ცენტრალურმა ხელისუფლებამ ოკინავას მიმართ უკვე სრულყოფილი ასიმილაციის პოლიტიკის გატარება დაიწყო, რის შედეგადაც პრეფექტურა მალე, სრულად შეუერთდა იაპონიის ეროვნულ სისტემას.

---

[4] 「琉球／琉球王国」、 „რიუკიუ/ რიუკიუს სამეფო.“

[5] ჰანი - საფეოდალო იაპონიაში.

[6] 斎藤信、五味文彦、高埜利彦、鳥海靖.「日本史研究」. 山川出版社、２０１２． 328. 342. სატო მაკოტო, გომი ჰუმიჰიკო, ტაკანო ტოშიჰიკო, ტორიუმი იასუში. „იაპონიის ისტორიის კვლევები.“ იამაგავა. 2012. 328. 342.

[7] 「日本復帰への道」、沖縄県公文書館、„იაპონიის შემადგენლობაში დაბრუნების გზა“, ოკინავას პრეფექტურის არქივი. accessed 2025.08.30. https://www.archives.pref.okinawa.jp/event_information/past_exhibitions/934#1

მეორე მსოფლიო ომის დროს რიუკიუს კუნძულები იაპონიის მთავარი კუნძულების (ჰონშიუ, კიუშიუ, შიკოკუ და ჰოკაიდო) თავდაცვის სისტემაში უკანასკნელი, ძირითადი ბასტიონი იყო, ამიტომ მაღალ დონეზე იყო დაცული. ომის მიწურულს ოკინავა ამერიკელების ერთ-ერთ მთავარ სამიზნედ გადაიქცა. 1944 წლის სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე (29 სექტემბერი - 1 ოქტომბერი) აშშ-ს საზღვაო ძალების ხელმძღვანელებმა განიხილეს წყნარ ოკეანეში საბრძოლო მოქმედებების შემდგომი განვითარების შესაძლო მიმართულებები. მათ არჩევანი უნდა გაეკეთებინათ ტაივანსა და ივოჯიმა-რიუკიუს კუნძულებს შორის. ვინაიდან ტაივანზე შეჭრას უფრო მეტი ჯარისკაცს საჭიროებდა, რასაც ლოჯისტიკური პრობლემებიც ახლდა, გადაწყდა საბრძოლო მოქმედებები ივოჯიმა-რიუკიუს მიმართულებით განევითარებინათ.[8]

1945 წლის მარტში ოპერაცია „აისბერგის“ ფარგლებში, ოკინავაზე ამერიკულმა ჯარებმა დაიწყო რიუკიუს კუნძულებზე გადასხდომა. იაპონელებმა მტერს სამ თვიანი სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს, რომელიც 22 ივნისს, იაპონელთა ფაქტობრივი დამარცხებით დასრულდა. თავგანწირულ ბრძოლას დაახლოებით 200 000 ადამიანი შეეწირა. 12 520 ამერიკელი ჯარისკაცის გარდა, 122 228 ოკინაველი დაიღუპა, რომელთა შორის 94 000 მშვიდობიანი, ადგილობრივი მოსახლე იყო. [9] ოკინავას პრეფექტურის არქივის მონაცემებით, საბრძოლო მოქმედებების გამო, ყოველი მეოთხე ოკინაველი დაიღუპა.[10] აქვე ერთ საინტერესო ფაქტზე მინდა მივუთითო. მიუხედავად იმისა, რომ ოკინავაზე საბრძოლო მოქმედებები 22 ივნისს დასრულდა, ხოლო იაპონიამ კაპიტულაციის აქტს ოფიციალურად ხელი 2 სექტემბერს მოაწერა, ოკინავაში იაპონიის სამხედრო ძალების მეთაურმა, გენერალ-ლეიტენანტმა ტოშირო ნომიმ, კაპიტულაცია მხოლოდ 7 სექტემბერს გამოაცხადა და მოაწერა ხელი შესაბამის კაპიტულაციის აქტს. ხელმოწერის შემდეგ, საბოლოოდ დასრულდა ომი ოკინავაში.[11]

ამერიკელთა ოკუპაცია და ოკინავა

ოკინავაზე ამერიკელმა სამხედროებმა გადასხდომიდან, მალევე გამოსცეს საზღვაო სამხედრო მთავრობის პროკლამაცია N1 „უფლებამოსილების შეჩერება“ (ე.წ. „ნიმიცის პროკლამაცია“), რომლითაც ადგილობრივ მოსახლეობას ოკინავას პრეფექტურაში იაპონიის ადმინისტრაციული ხელისუფლების შეჩერების შესახებ აცნობეს.[12]

1945 წლის 15 აგვისტოს, იაპონიის იმპერატორმა ოფიციალურად გამოაცხადა უპირობო კაპიტულაცია. იმავე დღეს, ოკინავაზე არსებულ ტყვეთა ბანაკებში

---

[8] 「アイスバーグ作戦」、沖縄県公文書館、„ოპერაცია „აისბერგი“, ოკინავას პრეფექტურის არქივი. accessed 2025.08.21.
https://www.archives.pref.okinawa.jp/event_information/past_exhibitions/938

[9] 「アイスバーグ作戦」、„ოპერაცია „აისბერგი.“

[10] 「日本復帰への道」、„იაპონიისკენ დაბრუნების გზა.“

[11] 「沖縄戦降伏調印文書」、沖縄県公文書館. „ოკინავას ბრძოლაში დანებების დოკუმენტი“, ოკინავას პრეფექტურის არქივი. accessed 2025.09.01. https://www.archives.pref.okinawa.jp/event_information/past_exhibition/surrender

[12] 「日本復帰への道」、„იაპონიისკენ დაბრუნების გზა.“

ამერიკელებმა მოიძიეს ოკინავას პრეფექტურის ასამბლეის ყოფილი წევრები, სკოლის დირექტორები და მათგან ოკინავას საკონსულტაციო საბჭო დააკომპლექტეს. საბჭოს ფუნქცია იყო ამერიკელ სამხედროებს დახმარებოდა ოკინავას მართვაში. იმავე წლის 20 სექტემბერს ჩაატარეს ქალაქის საბჭოს პირველი არჩევნები, სადაც ამერიკული დემოკრატიის უკეთ წარმოსაჩენად ქალებსაც მისცეს მონაწილეობის მიღების უფლება (იაპონიაში 1945 წლის დეკემბრამდე ქალებს არ ჰქონდათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება).[13]

1946 წლის აპრილში, გატარებული რეფორმების შედეგად, ოკინავას საკონსულტაციო საბჭო გარდაიქმნა სამოქალაქო მთავრობად, რის შედეგადაც დაარსდა სრულფასოვანი ადგილობრივი თვითმმართველი ორგანო. მისმა ჩამოყალიბებამ ბიძგი მისცა პოლიტიკური პარტიების შექმნას. შედეგად, ადგილობრივებმა აქტიურად დაიწყო ომის შემდგომი ოკინავას მოწყობის შესახებ მსჯელობა და სხვადასხვა გეგმების განხილვა.[14]

1946 წლის 29 იანვარს, იაპონიაში საოკუპაციო ძალების მთავარსარდალმა გენერალმა დაგლას მაკ-არტურმა მიიღო გადაწყვეტილება იაპონიისგან ნანსეის კუნძულების გამოყოფის შესახებ. შედეგად, ოკინავა იაპონიისგან გამოყოფილი აღმოჩნდა და ტოკიოსგან დამოუკიდებლად დაიწყო განვითარება.[15]

მსოფლიოში ცივი ომის გამწვავებამ, იაპონიის მიმართ აშშ-ს პოლიტიკა შეცვალა. ამერიკელების თავდაპირველი გეგმა მიზნად ისახავდა იაპონიის დემილიტარიზაციას და დასუსტებას, მაგრამ ცივი ომის გამო, ყურადღება გადაიტანეს მისი, როგორც რეგიონალური მოკავშირის გაძლიერებასა და განვითარებაზე. აშშ-ს ახალი პოლიტიკა ითვალისწინებდა იაპონიის გადაიარაღებას, იაპონიის ტერიტორიაზე აშშ-ს სამხედრო ბაზების განთავსებასა და ოკინავას, როგორც ცალკე კონტროლირებადი ტერიტორიის შექმნას. ამ პოლიტიკის საფუძველზე, ოკინავაზე სამხედრო ბაზების აქტიური მოწყობა დაიწყო.

1951 წელს იაპონიამ „სან-ფრანცისკოს სამშვიდობო ხელშეკრულებას“ ხელი მოაწერა, რითაც იაპონია საერთაშორისო საზოგადოებას დამოუკიდებელ სახელმწიფოს სტატუსით დაუბრუნდა. თუმცა ოკინავა კვლავ, იაპონიისგან ოფიციალურად გამოყოფილი დარჩა და ისევ ამერიკულ ადმინისტრაციას ექვემდებარებოდა.[16]

სან-ფრანცისკოს სისტემის თანახმად, რიუკიუს კუნძულებზე ამერიკული საოკუპაციო რეჟიმი ორმაგი ადმინისტრაციული სისტემისგან შედგებოდა. მართვის ფუნქციები რიუკიუს კუნძულების შეერთებული შტატების სამოქალაქო ადმინისტრაციასა და რიუკიუს კუნძულების მთავრობას შორის იყო განაწილებული. სამოქალაქო ადმინისტრაციას დე იურე უფლება ჰქონდა ჩარეულიყო კუნძულების მთავრობის სამი შტოს მიერ მართულ საზოგადოებრივ საქმეებში.[17]

---

[13] 「日本復帰への道」、„იაპონიისკენ დაბრუნების გზა.“

[14] 「日本復帰への道」、„იაპონიისკენ დაბრუნების გზა.“

[15] 「日本復帰への道」、„იაპონიისკენ დაბრუნების გზა.“

[16] 「日本復帰への道」、„იაპონიისკენ დაბრუნების გზა.“

[17] Fumi Inoue, “Japanese Solidarity with U.S.-Occupied Okinawa in the 1950s: Reflections On The Fiftieth Anniversary Of The Reversion Of Okinawa To Japan”. Asia Pacific Journal Japan Focus. Last modified 2022.05.18. https://apjjf.org/2022/10/inoue

მას შემდეგ, რაც „სან-ფრანცისკოს სამშვიდობო ხელშეკრულების“ საფუძველზე 1952 წელს აშშ-მ ოფიციალურად გაიმყარა ოკინავაზე ადმინისტრაციული კონტროლის უფლება, შეუდგა სამხედრო ბაზების აქტიურ მშენებლობას. ბაზების მშენებლობამ, მასთან დაკავშირებული სხვადასხვა ინდუსტრიის განვითარება გამოიწვია და რიუკიუს კუნძულებზე „ეკონომიკური ბუმი“ დაიწყო. მართალია, თავდაპირველ ეტაპზე ეკონომიკა განვითარდა, მაგრამ ნაკლები ყურადღება ექცეოდა განათლებასა და სოფლის მეურნეობას. ეს ყველაფერი კი ადგილობრივ მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა.[18]

ოკინავაზე სტატუსის გამყარებისთანავე, ამერიკელებმა დაიწყეს ადრინდელთან შედარებით მკაცრი პოლიტიკის გატარება. საკუთარი ინტერესების უკეთ განსახორციელებლად გამოიცა ბრძანებულება, რითაც გაადვილდა მიწის იძულებითი ექსპროპრიაცია. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ამერიკელებმა სამხედრო დანიშნულებისთვის გამოსაყენებელ მიწებზე, ადგილობრივებს შესთავაზეს მცირე საიჯარო თანხა. გარდა ამისა, საიჯარო კონტრაქტის ვადებიც უმრავლესობისთვის მიუღებელი აღმოჩნდა, რის გამოც მათთან შეთანხების მიღწევა გართულდა. ამის შემდეგ, 1955 წელს რამდენიმე ტერიტორიაზე განხორციელდა მიწის იძულებითი ჩამორთმევა. ამ ყველაფერმა ადგილობრივებსა და ამერიკელებს შორის ურთიერთობების დაძაბვა გამოიწვია და ხელი შეუშალა სამხედრო ბაზების ეფექტურ ფუნქციონირებას.[19]

რიუკიუს კუნძულებზე აშშ-მ თავდაპირველად ერთგვარი დემოკრატიული ოაზისის შექმნა გადაწყვიტა. ამისათვის, რიუკიუში ადგილობრივი მმართველობის არჩევნების ჩატარება გადაწყვიტა და მასში, იაპონიისგან განსხვავებით ქალების მონაწილეობის უფლებაც დაუშვა, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცივი ომის გამძაფრებასთან ერთად შეცვალა იაპონიისა და ოკინავას მიმართ პოლიტიკა. თუ იაპონიაში, ამერიკელები უფრო მეტად ცდილობდნენ დემოკრატიული საზოგადოების შექმნას, ოკინავას შემთხვევაში უფრო მკაცრი პოლიტიკის გატარება დაიწყეს. მაგალითად, რიუკიუს მთავრობის მეთაურს არ ირჩევდა ადგილობრივი მოსახლეობა, არამედ მას ნიშნავდა აშშ-ს სამოქალაქო ადმინისტრატორის მოადგილე (მოგვიანებით უმაღლესი კომისარი). ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოს მხოლოდ ისეთი კანონების მიღება შეეძლო, რაც არ ეწინააღმდეგებოდა აშშ-ს სამოქალაქო ადმინისტრაციის დადგენილებებს. გარდა ამისა, ამერიკელი ჯარისკაცების მიერ ჩადენილ დანაშაულებებს რიუკიუს სასამართლოს ნაცვლად, ამერიკული სამხედრო ტრიბუნალი განიხილავდა. მეტიც, ადგილობრივი საქმეები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა აშშ-ს სამხედრო მმართველობაზე, ადგილობრივი სასამართლოდან აშშ-ს სამოქალაქო ადმინისტრაციის სასამართლოს გადაეცემოდა. ასევე მოქმედებდა ერთგვარი ცენზურა აშშ-ს ხელისუფლებისა და მმართველობის წინააღმდეგ არსებულ პუბლიკაციებზე.

---

[18] Satoko Uechi. “Imagining Different Futures: Okinawans’ Arguments for Reversion to Japan in 1951”. Journal of Inter-Regional Studies: Regional and Global Perspectives. Vol.2. (2019), 32. accessed 2025.09.10. https://www.waseda.jp/inst/oris/assets/uploads/2018/03/06_Imagining-Different-Futures_Satoko-Uechi.pdf

[19] 「日本復帰への道」、„იაპონიისკენ დაბრუნების გზა.“

შექმნილ ვითარებას ადგილობრივი მოსახლეობა მტკივნეულად აღიქვამდა და აშშ-ს სამხედრო მმართველობის წინააღმდეგ კრიტიკულად განაწყობდა.[20]

იაპონიის შემადგენლობაში ოკინავას დაბრუნების მოთხოვნის მოძრაობა

ოკინავას საბოლოო, ოფიციალური სტატუსი ამერიკული სამხედრო/სამოქალაქო ადმინისტრაციის ქვეშ გაურკვეველი იყო. ამიტომ, ჯერ კიდევ ომის დამთავრებიდან მალევე, ოკინავაში დაიწყო დებატები ოკინავას სამომავლო სტატუსთან დაკავშირებით. მართალია აშშ ოკინავას იაპონიის შემადგენელ ნაწილად აღიარებდა, ხოლო ადგილობრივ მოსახლეობას იაპონიის მოქალაქეობა გააჩნდათ, მაგრამ ამერიკელები მაინც მკაცრად აკონტროლებდნენ ოკინავასა და იაპონიას შორის მიმოსვლას. ოკინავასა და იაპონიის შორის მიმოსვლისთვის ითხოვდნენ პასპორტის ფლობას. გარდა ამისა, რიუკიუს გემებს არ ჰქონდათ იაპონური დროშის აღმართვის უფლება და მის ნაცვლად „საერთაშორისო სიგნალის დროშას „D“ იყენებდნენ. ოკინაველებმა იაპონიის დროშის აღმართვის უფლება, იაპონიასა და აშშ-ს შორის მოლაპარაკებების შედეგად, მხოლოდ 1967 წლის ივლისში აღიდგინეს.[21]

1951 წელს, როდესაც სან-ფრანცისკოს სამშვიდობო კონფერენცია დაიგეგმა, ოკინავაში, ადგილობრივმა გაზეთებმა „ურუმა შიმპომ“ და „ოკინავა თაიმსმა“ საჯარო დებატები გამართეს ოკინავას მომავალ სტატუსთან დაკავშირებით. გაზეთებმა თავიანთი გვერდები დაუთმეს, როგორც იაპონიის შემადგენლობაში დაბრუნების მომხრეებს, ასევე აშშ-ს ან გაეროს მეურვეობის ქვეშ მმართველობის დაწესების მხარდამჭერებს. [22] იაპონიის შემადგენლობაში დაბრუნების მომხრეები ამტკიცებდნენ, რომ ოკინავას იაპონიაში დაბრუნება იგივეა, რაც მშობლის კალთაში შვილის დაბრუნება. ასევე ერთ-ერთი არგუმენტად მოჰყავდათ, რომ იაპონიის ეკონომიკა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აუცილებლად აღდგებოდა და დანგრეულ კუნძულებსაც აღადგენდა.[23]

გარდა ამისა, ისინი შიშობდნენ, რომ თუ იაპონიაში ვერ დაბრუნდებოდნენ, მათ შესაძლოა მრავალი პრობლემა შექმნოდათ. მაგ. მრჩეველთა პალატის ყოფილი წევრი იე ვარაუდობდა, რომ თუ ოკინავა მეურვეობითი სისტემის მმართველობას დაექვემდებარებოდა, მათი ოჯახები რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ. ვინაიდან, ისინი მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის მოქალაქეები აღარ იქნებოდნენ.[24]

ოკინავაზე აშშ-ს გრძელვადიანი მმართველობის დამყარების შემდეგ, რომელიც ითვალისწინებდა სამხედრო პრიორიტეტულობის პოლიტიკის გატარებას, საზოგადოების უმრავლესობამ, ისევ იაპონიის შემადგენლობაში

[20] 「日本復帰への道」、„იაპონიისკენ დაბრუნების გზა.“

[21] 「日本復帰への道」、„იაპონიისკენ დაბრუნების გზა.“

[22] Uechi, ‘’ Okinawans’ Arguments for Reversion”, 28.

[23] Uechi, ‘’ Okinawans’ Arguments for Reversion”, 28-29.

[24] Uechi, ‘’ Okinawans’ Arguments for Reversion”, 30.

დაბრუნებას დაუჭირა მხარი.[25] 1951 წელს ოკინავას მოსახლეობის 80 % მოითხოვდა დაუყოვნებლივ იაპონიის შემადგენლობაში დაბრუნებას.[26]

1953 წლის იანვარში „ოკინავას კუნძულების სამშობლოში დაბრუნების ხელშეწყობის ასოციაცია“ დაარსდა. ასოციაცია შედგებოდა 23 ადგილობრივი ორგანიზაციისგან. თუმცა, აშშ-ს სამხედრო მმართველობის ზეწოლის შედეგად დაიშალა. ამის შემდეგ, მოძრაობა სტაგნაციურ მდგოიარეობაში გადავიდა. სამხედრო მიწების იჯარის პრობლემურმა საკითხმა და ამერიკული სამხედრო ბაზების არსებობით გამოწვეული ადამიანის უფლებების ხშირი დარღვევებმა, ოკინავაში ხელახლა გააღვივა იაპონიაში დაბრუნების სურვილი. [27] იაპონელი მკვლევარის სატოკო უეჩის აზრით, მიუხედავად შექმნილი ვითარებისა, იმ პერიოდში ოკინავას იაპონიაში დაბრუნების მომხრეები მაინც ზედმეტად ოპტიმისტები იყვნენ.[28]

1955 წელს იაპონურმა გაზეთმა „ასაჰი შიმბუნმა“ გამოაქვეყნა სტატია, რომელიც ეფუძნებოდა ორგანიზაცია „იაპონიის სამოქალაქო კავშირის“ პუბლიკაციას. სტატია ეხებოდა ორგანიზაციის მიერ გამოკვლეულ საკითხს „ადამიანის უფლებების პრობლემები ოკინავაში“. იაპონელი მკვლევარი ფუმი ინოუე მიიჩნევს, რომ ამ სტატიამ დიდი საზოგადოებრივი აღშფოთება გამოიწვია და გავლენა მოახდინა ოკინავას მიმართ ამერიკის პოლიტიკასთან დაკავშირებით, აშშ-იაპონიის ურთიერთობებზე.[29] 1955 წლის აგვისტოში იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შიგემიცუ მამორუმ, აშშ-ს სახელმწიფო მდივანს ჯონ ფოსტერ დალესს სთხოვა ოკინავა კვლავ იაპონიის შემადგენლობაში დაებრუნებინათ და ოკინაველთა მიმართ მეტი პატივისცემა გამოეხატათ, თუმცა დალესისგან უარი მიიღო.[30]

1956 წლიდან ოკინავაზე კვლავ გაიშალა ანტი-ამერიკული მოძრაობა, რასაც თან ახლდა იაპონიის შემადგენლობაში დაბრუნების მოთხოვნებიც. ამერიკელი სამხედროებისთვის ოკინავაზე არსებულ სამხედრო ბაზებს უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომ ოკინაველთა ყოველგვარ მოძრაობას, რომელიც რიუკიუს კუნძულების იაპონიის იურისდიქციაში დაბრუნებასთან იყო დაკავშირებული, მძიმე გამოწვევად ღებულობდნენ და მკაცრად ახშობდნენ, თუმცა, რაც უფრო მკაცრად ექცეოდნენ ოკინავალებს, ადგილობრივ მოსახლეობაში მით უფრო ძლიერდებოდა იაპონიაში დაბრუნების მომხრეთა რიცხვი.[31]

მდგომარეობა იმდენად გართულდა, რომ ამერიკელებში გაჩნდა მოსაზრება ოკინავა იაპონიისთვის დაებრუნებინათ, მაგრამ იმ პირობით, თუ კუნძულებზე შეინარჩუნებდნენ ამერიკული სამხედრო ბაზების განთავსების უფლებას. [32] ამასობაში, აქტიური პროტესტის საპასუხოდ, აშშ-ს სამხედრო მმართველობამ

---

[25] 「日本復帰への道」、„იაპონიისკენ დაბრუნების გზა.“

[26] Inoue, “Japanese Solidarity with U.S.-Occupied Okinawa.”

[27] 「日本復帰への道」、„იაპონიისკენ დაბრუნების გზა.“

[28] Uechi, ‘’ Okinawans’ Arguments for Reversion”, 36-37.

[29] Inoue, “Japanese Solidarity with U.S.-Occupied Okinawa.”

[30] Inoue, “Japanese Solidarity with U.S.-Occupied Okinawa.”

[31] 「日本復帰への道」、„იაპონიისკენ დაბრუნების გზა.“

[32] 「日本復帰への道」、„იაპონიისკენ დაბრუნების გზა.“

მდგომარეობის შერბილება სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებით სცადა. კერძოდ, გააუქმა სამხედრო ბაზებისთვის საჭირო ტერიტორიებზე ერთჯერადი იჯარის გადახდის პრაქტიკა. გარდა ამისა, უცხოური ინვესტიციების წასახალისებლად ოკინავაში, ოფიციალურ ვალუტად აშშ დოლარი შემოიღეს. ამასთანავე, დაუშვეს იაპონიის მთავრობისგან ტექნიკური დახმარების მიღებაც.[33]

ამერიკელთა მცდელობის მიუხედავად, ადგილობრივების მხარდაჭერა მაინც ვერ მოიპოვეს. 1960 წლის აპრილში ოკინავაში ჩამოყალიბდა „ოკინავას პრეფექტურის დაბრუნების საბჭო“. საბჭოში მრავალი ორგანიზაცია გაერთიანდა. მათ შორის წამყვანი ორგანიზაციები იყო: მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაცია, ომში გარდაცვლილთა ოჯახების ასოციაცია, პროფკავშირები, პოლიტიკური პარტიები და ა.შ. საბჭოს ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა, ოკინაველებისთვის უკეთ აეხსნათ იაპონიის შემადგენლობაში დაბრუნების სარგებელი. იაპონია იმ პერიოდში ფანტასტიკურ ეკონომიკურ აღმავლობას განიცდიდა, ამიტომ პატრიოტულ მოტივებთან ერთად, ძირითადი აქცენტი ეკონომიკურ და სოციალურ სარგებელზე კეთდებოდა.[34]

რიუკიუს მმართველი „ოკინავას ლიბერალ-დემოკრატიული პარტიაც“ მხარს უჭერდა იაპონიასთან ხელახლა შეერთებას, მაგრამ ვიდრე მიზანს მიაღწევდნენ, მოითხოვდა ოკინავასთვის ავტონომიის გაფართოებას, მოგზაურობის შეზღუდვების მოხსნას, იაპონიის მთავრობის დახმარების გაზრდას და ა.შ. ოპოზიციური პარტიებიც თავის მხრივ იზიარებდნენ იაპონიასთან დაბრუნების სულისკვეთებას, მაგრამ მმართველი პარტია მკაცრად გააკრიტიკეს „სტატუს ქვოს აღიარებისთვის“.[35]

ამასობაში, იაპონიასა და აშშ-ს შორის პარტნიორული ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდა. 1960 წელს ხელი მოეწერა „აშშ-იაპონიის უსაფრთხოების ხელშეკრულებას“, რომლის მიხედვით იაპონიაზე სხვა ქვეყნის თავდასხმის შემთხვევაში აშშ სამხედრო დახმარებას გაუწევდა. სანაცვლოდ, იაპონიამ აშშ-ს სამხედრო ბაზებსა და პორტებზე დამატებით წვდომა მისცა, ოღონდ იმ პირობით რომ ნებისმიერი სამხედრო მოქმედებების აუცილებლობის შემთხვევაში, ვაშინგტონი წინასწარ გაივლიდა ტოკიოსთან კონსულტაციებს. [36] „აშშ-იაპონიის უსაფრთხოების ხელშეკრულება“ ითვალისწინებდა 10 წლიან პერიოდს, რომლის გასვლის შემდეგ ნებისმიერ მხარეს ცალმხრივად შეეძლო ხელშეკრულების გაწყვეტა.[37] მოგვიანებით ეს პუნქტი იაპონურმა მხარემ კარგად გამოიყენა ოკინავას დაბრუნებასთან დაკავშირებით მოლაპარაკების დროს და აშშ-ზე ზეწოლის იარაღად აქცია.[38]

---

[33] 「日本復帰への道」、„იაპონიისკენ დაბრუნების გზა.“

[34] 「日本復帰への道」、„იაპონიისკენ დაბრუნების გზა.“

[35] 「日本復帰への道」、„იაპონიისკენ დაბრუნების გზა.“

[36] “The U.S. Returns Okinawa to Japan, 1971”, Associaton for Diplomatic studies and Training, accessed 2025.09.04. https://adst.org/2016/07/u-s-returns-okinawa-japan-1971/

[37] 「日米安全保障条約（主要規定の解説.）」、外務省. „იაპონია-აშშ-ის უსაფრთხოების ხელშეკრულება (ძირითადი დებულებების განმარტება)“. იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრო. accessed 2025.09.04. https://www.mofa.go.jp/mofaj/area/usa/hosho/jyoyaku_k.html

[38] “The U.S. Returns Okinawa to Japan.”

როგორც აღმოსავლეთ აზიისა და წყნარი ოკეანის საკითხებში სახელმწიფო მდივნის მოადგილე მარშალ გრინი (მდივნის თანაშემწე, 1969–1973) იხსენებს, რიუკიუს კუნძულების ძალიან მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობის გამო, აშშ-ს მათი დათმობა არ შეეძლოთ. ამასთან, თუ კუნძულებს არ დაუბრუნებდნენ იაპონიას, არსებობდა დიდი ალბათობა რომ „აშშ-იაპონიის უსაფრთხოების ხელშეკრულებას“ ტოკიო აღარ გააგრძელებდა, ამიტომ „რაღაც უნდა მოექმედებინათ“. სწორედ ამის გამო გადაწყდა მოლაპარაკებების დაწყება.[39]

მოლაპარაკებების დაწყებამდე არსებული ვითარება

1962 წელს აშშ-ს პრეზიდენტმა რობერტ ფ. კენედიმ განაცხადა, რომ რიუკიუ იაპონიის ნაწილია და გამოაცხადა „ოკინავას ახალი პოლიტიკის“ დაწყება. „ოკინავას ახალი პოლიტიკა“ გულისხმობდა ოკინავას იაპონიის ნაწილად აღიარებას. მისი ძირითადი პუნქტები იყო:

1) ოკინავას მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესება და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა;

2) ოკინავაში აშშ-ს სამხედრო ბაზების, როგორც წყნარი ოკეანის უსაფრთხოების ქვაკუთხედის მნიშვნელობაზე ხაზგასმა;

3) იაპონია-აშშ-ს თანამშრომლობის სისტემის გაძლიერებით, ოკინავაში ბაზების სტაბილური შენარჩუნების უზრუნველყოფა.

ოკინავას კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით, აშშ-მ ეკონომიკური ტვირთის ნაწილის გაზიარება იაპონიასაც სთხოვა. იაპონია ამ მოთხოვნას დათანხმდა და 1963 წლიდან დაიწყო განხორციელება.[40]

1963 ფისკალურ წელს, როდესაც იაპონიის მთავრობამ ოკინავასთვის დახმარების გაწევა დაიწყო, იაპონიისა და აშშ-ს მიერ გაწეული დახმარების საერთო ოდენობა 7 148 310 000 იენი შეადგინა. აქედან, იაპონიის მთავრობამ 1 012 830 000 იენი (14%), ხოლო აშშ-ს მთავრობამ 6 135 430 000 იენი (86%) გაიღო. აღსანიშნავია, რომ იმ პერიოდში, ოკინავასა და იაპონიას შორის დიდი ეკონომიკური სხვაობა იყო. მაგ. იაპონიაში 1 სულ მოსახლეზე შემოსავალი იყო 215 000 იენი, ხოლო ოკინავაზე თითქმის მისი ნახევარი - 108 000 იენი.[41]

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ს სამხედრო მმართველობის 27 წლიანი პერიოდის განმავლობაში, რიუკიუს მთავრობისთვის გაწეული დახმარების საერთო რაოდენობა იაპონიის მთავრობისგან 123 200 000 იენი (43%), ხოლო აშშ-ს მთავრობისგან 164 900 000 იენი (57%) შეადგენა.[42] როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იაპონიის მთავრობის მიერ ოკინავას ფინანსური დახმარება, 1963 ფისკალურ წელს 1 012 830 000 იენს შეადგენდა, მაგრამ ოკინავას დაბრუნების დადასტურების

---

[39] “The U.S. Returns Okinawa to Japan.”

[40]宮田裕、「日本政府の沖縄政策～戦後処理から沖縄振興へ」地域研究. N 22（２０１８）. ჰიროში მიატა, „იაპონიის მთავრობის ოკინავას პოლიტიკა: ომისშემდგომი დასახლებიდან ოკინავას აღორძინებამდე“. რეგიონალური კვლევები N 22 (2018). 86. accessed 2025.09.12. https://www.okinawa-u.ac.jp/wordpress/wp-content/uploads/2020/10/%E3%80%90%E3%83%87%E3%83%BC%E3%82%BF%E3%80%91%E5%9C%B0%E5%9F%9F%E7%A0%94%E7%A9%B6No.22.pdf 86.

[41] 宮田、「日本政府の沖縄政策」, 86. მიატა, „იაპონიის მთავრობის პოლიტიკა,“ 86.

[42] 宮田、「日本政府の沖縄政策」, 86. მიატა, „იაპონიის მთავრობის პოლიტიკა,“ 86.

შემდეგ, კერძოდ 1969 ფისკალურ წელს 12 600 000 000 იენამდე გაიზარდა. 1970 ფისკალურ წელს რეფორმირების ხარჯებმა 17 700 000 იენი შეადგინა, 1971 ფისკალურ წელს 26 000 000 000 იენამდე გაიზარდა, ხოლო 1972 ფისკალურ წელს (აპრილიდან 14 მაისამდე), როდესაც რეფორმა დადასტურდა, 42 700 000 მილიარდ იენამდე გაიზარდა. იაპონიის მთავრობამ აშშ-ს სამხედრო ოკუპაციის დროს ფინანსური დახმარების სახით სულ 123 200 000 მილიარდი იენი გამოყო. საიდანაც 70 % 1970 წლის შემდეგ დაიხარჯა.[43]

1964 წლის აპრილში შეიქმნა იაპონია-აშშ-ს საკონსულტაციო კომიტეტი და იაპონია-აშშ-ს რიუკიუს ტექნიკური კომიტეტი. ამით ორ ქვეყანას შორის ოკინავას გარშემო მოლაპარაკებების დაწყებისთვის ნიადაგი შემზადდა.[44]

1965 წლის 16 ივლისს, ტოკიოში, ამერიკის საელჩოში გამართულ აშშ-ს სამხედრო და სამოქალაქო პირების მაღალი დონის შეხვედრა გაიმართა, სადაც ედვინ ო. რაიშაუერმა (აშშ-ს ელჩი იაპონიაში 1961-1966) ოკინავაში ამერიკული სამხედრო ბაზების შენარჩუნების შესახებ აშშ-ს შემდგომი სტრატეგია წარმოადგინა. მისი სტრატეგია მოიცავდა ბირთვული იარაღის განთავსების ვარიანტსაც. ელჩმა რაიშაუერმა განაცხადა, „თუ იაპონია, იაპონიის ტერიტორიაზე, მათ შორის ოკინავაზე, ბირთვული იარაღის განთავსებაზე დათანხმდება და მოგვცემს გარანტიებს, რომლებიც ჩვენს სამხედრო მეთაურებს სამხედრო კრიზისის დროს კუნძულებზე ეფექტური კონტროლის განხორციელების საშუალებას მისცემს, მაშინ ჩვენ შევძლებთ კუნძულებზე ჩვენი ბაზების შენარჩუნებას, მაშინაც კი, თუ „სრული სუვერენიტეტი“ იაპონიას დაუბრუნდება“. ამერიკელი მკვლევარი სტივ რობსონის მოსაზრებით, ორივე ეს დებულება, მოგვიანებით გამოყენებულ იქნა 1969 წელს აშშ-იაპონიის ოკინავას დაბრუნებასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში.[45]

აშშ-ს მთავრობა საკითხს სერიოზულად მიუდგა და 1966 წელს მივიდნენ დასკვნამდე, რომ ოკინავას იაპონიისთვის დაბრუნება შესაძლებელი იყო, მაგრამ იმ პირობით, თუ ამერიკული სამხედრო ბაზები შენარჩუნდებოდა. 1967 წელს, იაპონია-აშშ-ს სამიტზე ორი ქვეყნის მთავრობა შეთანხმდა, რომ ოკინავას დაბრუნების საკითხი მომდევნო 2 წლის განმავლობაში გადაწყდებოდა.[46]

1967 წელს იაპონიის პრემიერ-მინისტრ სატოსა და აშშ-ს პრეზიდენტ ჯონსონს შორის მოლაპარაკების შედეგად, ოკინავას იაპონიის შემადგენლობაში დაბრუნებისთვის ნიადაგის შემზადება დაიწყო.

აშშ-ს ეროვნული დაზვერვის ანალიზით (17/02/1969), იაპონიის პრემიერ-მინისტრი სატო ოკინავას დაბრუნების პრობლემის მოგვარებისთვის ძალ-ღონეს არ იშურებდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი მიაჩნდათ, რომ 1970 წელს, სატოს ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის პრეზიდენტობის ვადა ეწურებოდა. გარდა ამისა, იაპონიაში დაგეგმილი იყო საპარლამენტო არჩევნები. ამიტომ, თუ 1970 წლამდე ოკინავას დაბრუნებას მოახერხებდა, მაშინ საპარლამენტო არჩევნებში

---

[43] 宮田、「日本政府の沖縄政策」, 86. მიატა, „იაპონიის მთავრობის პოლიტიკა,“ 88.

[44] 「日本復帰への道」、„იაპონიისკენ დაბრუნების გზა.“

[45] Steve Rabson, ““Secret” 1965 Memo Reveals Plans to Keep U.S. Bases and Nuclear Weapons Options in Okinawa After Reversion”. Asia Pacific Journal Japan Focus. Last modified 2010.02.10. https://apjjf.org/steve-rabson/3294/article

[46] 「日本復帰への道」、„იაპონიისკენ დაბრუნების გზა.“

კომფორტული უპირატესობით გამარჯვებას უზრუნველყოფდა, ხოლო თუ მიზანს ვერ მიაღწევდა, არსებობდა საშიშროება, რომ მნიშვნელოვნად დაზარალდებოდა არჩევნებში და საკუთარ პარტიაშიც შეერყეოდა პოზიციები.[47]

დაზვერვამ სხვა საკითხების შესწავლაც მოახერხა. მათი ანალიზით მიხედვით, უსაფრთხოების კუთხით, იაპონიის მოსახლეობის და პოლიტიკური ლიდერების უმეტესობა თვლიდა, რომ მათ ქვეყანას საგარეო საფრთხე არ ემუქრებოდა. ისინი არ მოელოდნენ , რომ სსრკ იაპონიის წინააღმდეგ სამხედრო ინტერვენციას გამოიყენებდა. ისინი საფრთხეს ვერც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მხრიდან ვერ ხედავდნენ. იაპონელების შეფასებით, მართალია ჩინეთს დიდი ჯარი ჰყავდა, მაგრამ საკმარისად არ ჰქონდა განვითარებული საჰაერო და საზღვაო ძალები, ეს კი მათ მხრიდან მოსალოდნელ აგრესიის საფრთხეს მინიმუმადე ამცირებდა. [48]

მიუხედავად ამისა, იაპონიის ლიდერები გრძნობდნენ ძლიერი სამხედრო დამცველის საჭიროებას. უიარაღო ნეიტრალიტეტი, რომელიც ომის შემდგომი პერიოდის დასაწყისის იაპონიაში პოპულარული კონცეფცია იყო, იმჟამად მცირე მხარდაჭერა ჰქონდა. იაპონიის ხელმძღვანელობა და მოსახლეობის დიდი ნაწილი აცნობიერებდა, არასტაბილურ აღმოსავლეთ აზიის გარემოში ნეიტრალიტეტის პოლიტიკის საფრთხეებს. ნეიტრალიტეტის კონცეფციას, რომელიც დაფუძნებული იყო ძლიერ, ბირთვულ შეიარაღებასა და დამოუკიდებელ იაპონურ სამხედრო სისტემაზე, გარკვეული მიმზიდველობა გააჩნდა, თუმცა მის შესაქმნელად სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიკური დაბრკოლებები არსებობდა. ამიტომაც, ისინი იაპონიის უსაფრთხოების დამცველის როლში, მთავარ აქტორად აშშ-ს მიიჩნევდნენ. სატო და სხვა კონსერვატორი ლიდერები თვლიდნენ, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიაში აშშ-ს ძლიერი სამხედრო პოზიცია, იაპონიისთვის სასარგებლო იქნებოდა. სულ მცირე მანამ, სანამ იაპონია მზად არ იქნებოდა უფრო სრულფასოვნად დაეცვა საკუთარი ქვეყანა.[49]

ამერიკული დაზვერვა ასევე ვარაუდობდა, რომ უახლოეს მომავალში, ოკინავას საკითხი აშშ-იაპონიის უსაფრთხოების პრობლემათა შორის, ყველაზე აქტუალურ და რთულად მოსაგვარებულ საკითხად გადაიქცეოდა. განსაკუთრებით მას მერე, რაც „ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის (ლდპ.) მხარდაჭერილმა კანდიდატმა ჩობიო იარამ რიუკიუს მთავრობის დირექტორის პოსტი დაიკავა. იარას მთავარი პოლიტიკური დაპირება იყო იაპონიის შემადგენლობაში ოკინავას დაბრუნება, ოკინავადან ამერიკული ბაზების თანდათან გაყვანა და ბირთული იარაღის ოკინავადან გატანა. იარას არჩევა კიდევ ერთი დამატებით წნეხი იყო სატოსთვის, რომ ოკინავას დაბრუნებისთვის ყველაფერი გაეკეთებინა.[50]

ამერიკულმა დაზვერვამ შეჯამების სახით გამოითქვა ვარაუდი, რომ „ოკინავას საკითხი უარყოფითად იმოქმედებდა აშშ-იაპონიის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე და შეაფერხებდა თანამშრომლობის სხვადასხვა საკითხებს. ასევე გამოიწვევდა იაპონიაში ამერიკული ბაზების შემცირების

[47] “National Intelligence Estimate”, Foreign Relations of the United States, 1969–1976, Volume XIX, Part 2, Japan, 1969–1972, The Historian of the U.S. Department of State. accessed 2025.09.15, https://history.state.gov/historicaldocuments/frus1969-76v19p2/d3

[48] “National Intelligence Estimate.”

[49] “National Intelligence Estimate.”

[50] “National Intelligence Estimate.”

მოთხოვნის ზრდას. ვინაიდან ოკინავაში მიმდინარეობდა მზარდი, მძაფრი კამპანია აშშ-ს სამოქალაქო ხელისუფლებისა და აშშ-ს სამხედრო ყოფნის წინააღმდეგ. არსებობდა საფრთხე რომ ოკინავას როლი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და კორეაში აშშ-ს ძალების მხარდაჭერაში, შესაძლოა სერიოზულად დაზიანებულიყო და შემცირებულიყო."[51]

ოკინავას დაბრუნებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები

1969 წლის ივნისში ვაშინგტონში ოკინავას იაპონიისთვის დაბრუნებასთან დაკავშირებით ოფიციალურად დაიწყო იაპონია-აშშ-ს მოლაპარაკებები. იაპონელებმა მოლაპარაკების პროცესში წარმატების მისაღწევად საუკეთესო იაპონელი დიპლომატები ჩართეს. [52] ყველაზე რთულ საკითხად მიიჩნეოდა, საგანგებო სიტუაციებში აშშ-ს მიერ ბაზების თავისუფალი გამოყენება, რაც იაპონიისთვის მგრძნობიარე თემას - ბირთვული იარაღის გამოყენებასაც გულისხმობდა.

ჰენრი კისინჯერის (პრეზიდენტის მრჩეველი) პრეზიდენტ ნიქსონისადმი მიწერილ მოხსენებით ბარათში (12/03/1969) ოკინავას ბაზების მნიშვნელობას შემდეგნაირად აღწერს: „ოკინავა აშშ-სთვის უმნიშვნელოვანესი სამხედრო ბაზების სისტემაა დასავლეთ წყნარ ოკეანეში. რიუკიუ, რომელიც პოტენციური სამხედრო ოპერაციების თეატრებთან ახლოს მდებარეობს, მნიშვნელოვნად ზრდის აშშ-ს შეკავების ძალას აზიაში. ეხმარება აშშ-ს საერთო შესაძლებლობებსა და მოქნილობას წყნარ ოკეანეში ნებისმიერ დროს, განსაკუთრებით აქტიური სამხედრო ოპერაციის ადრეულ ეტაპებზე. რიუკიუს ბაზების ღირებულებას ზრდის ასევე ის ფაქტიც, რომ შესაძლებელია ობიექტებზე თავისუფალ წვდომა, ხოლო მათ გამოყენებაზე იურიდიული ან უცხო ქვეყნის მხრიდან შეზღუდვები არ არსებობს."[53]

ოკინავას ბაზებზე ბირთვული იარაღის არსებობა იაპონელებისთვის განსაკუთრებით მგრძნობიარე საკითხი იყო. ამიტომ, არავითარ შემთხვევაში არ თანხმდებოდნენ რაიმე სახით ბირთვული იარაღის ოკინავაზე განთავსებაზე. ამერიკელებმა ბუნებრივია იცოდნენ, რომ ბირთვული იარაღი ჰიროშიმასა და ნაგასაკის ატომური ბომბებით დაბომბვის გამო იაპონელებისთვის მიუღებელი იყო. ამიტომ აშშ არასოდეს არ აღიარებდა იაპონიაში არსებულ სამხედრო ბაზებზე ან იაპონიის ტერიტორიულ წყლებში სტუმრად მყოფ სამხედრო ხომალდებზე ბირთვული არსენალის არსებობას. ისინი მასზე საუბრისას იყენებდნენ ტაქტიკას „არც დავადასტუროთ და არც ვუარყოთ."[54] თუმცა ჰენრი კისინჯერი პრეზიდენტ

[51] "National Intelligence Estimate."

[52] „Interview with Charles A. Schmitz", Library of Congress。 Initial interview date: July 29, 1993. accessed 2025.09.08.
https://tile.loc.gov/storage-services/service/mss/mfdip/2004/2004sch10/2004sch10.pdf

[53] "Memorandum From the President's Assistant for National Security Affairs (Kissinger) to President Nixon. National Intelligence Estimate". Foreign Relations of the United States, 1969–1976, Volume XIX, Part 2, Japan, 1969–1972, The Historian of the U.S. Department of State. accessed 2025.09.14. https://history.state.gov/historicaldocuments/frus1969-76v19p2/d4

[54] "The U.S. Returns Okinawa to Japan."

ნიქსონისადმი მიწერილ მოხსენებით ბარათში აღიარებს ოკინავას ბაზებზე ბირთვული იარაღის არსებობას.[55]

კისინჯერმა თავის ნიქსონისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში, პრეზიდენტს ასევე ურჩია დათანხმებოდნენ ოკინავას დაბრუნების საკითხს, რათა ეს სამომავლოდ გამოეყენებინათ მოლაპარაკებებში სასურველი პირობების მისაღებად. მან მთავარ საკითხებად გამოყო ბირთვული იარაღის განთავსება, სამხედრო ბაზების დატოვებისა და მათი თავისუფლად გამოყენების უფლების მიღწევა. თუნდაც, სულ მცირე იქამდე, ვიდრე ვიეტნამში კონფლიქტი მიმდინარეობდა. მოლაპარაკებებში წარმატების მისაღწევად მან გასცა შემდეგ რეკომენდაციები:

1. დეტალური მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ, ორმხრივად შეთანხმებული პირობების საფუძველზე, 1969 წელს აშშ დათანხმებოდა ოკინავას იაპონიისთვის სამი წლის ვადაში დაბრუნებას;

2. აშშ-ს მინიმალური პირობები ოკინავას იაპონიისათვის დაბრუნების სანაცვლოდ შემდეგი უნდა ყოფილიყო:

ა. ბირთვული იარაღის, როგორც განთავსების, ასევე სრული ტრანზიტული უფლებები;

ბ. ოკინავას სამხედრო ბაზებიდან, იაპონიის მთავრობასთან წინასწარი კონსულტაციის გარეშე საბრძოლო ოპერაციების დაწყების უფლება;

გ. იაპონიის მთავრობის გარანტიები რომ ისინი მხარს დაუჭერდნენ, სხვა შეთანხმებებით განსაზღვრულ ბაზების უფლებების ფარგლებში, იაპონიასა და ოკინავაში ამერიკელების მიერ შეზღუდვების გარეშე, ბაზების სრულად გამოყენება;

დ. იაპონიის მიერ უცხოური ვალუტის გაცვლის ხარჯების სრულად ან უმეტესწილად ანაზღაურებას, ასევე ოკინავას დაბრუნებით გამოწვეული ხარჯების გადახდა;

ე. აშშ-ს მიერ ოკინავაზე „რადიო ამერიკის ხმის“ ობიექტების შენარჩუნება;

ვ. იაპონიის მიერ იაპონიის ტერიტორიის, მათ შორის რიუკიუს კუნძულების სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო თავდაცვის სრული პასუხისმგებლობის აღება, გარდა ორმხრივი შეთანხმებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.[56]

თუ მოვლენების შემდგომში განვითარებას გადავხედავთ, აშშ-მ სწორედ კისინჯერის რეკომენდაციების მიხედვით წარმართა მოლაპარაკებები და მნიშვნელოვან წარმატებასაც მიაღწია.

აშშ-ს მთავრობამ, იაპონიასთან მოლაპარაკებში უპირატესობის მოპოვების მიზნით, წინასწარ, სასწრაფოდ გაიტანა ბირთვული იარაღი ოკინავას ბაზებიდან. შედეგად, იაპონიის პრემიერ-მინისტრი ეისაკუ სატო დათანხმდა ბაზების თავისუფალ გამოყენებას. ხოლო ბირთვული იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით, დამატებით საიდუმლო ოქმი შედგა. [57]

აშშ-ს თავის მხრივ აწუხებდა ქვეყანაში იაპონური ტექსტილის ჭარბი იმპორტის შეზღუდვა, რის გამოც ადგილობრივი ტექსტილის ქარხანა-ფაბრიკები

---

[55] “Memorandum From the President’s Assistant.”

[56] “Memorandum From the President’s Assistant.”

[57]「日本復帰への道」、„იაპონიისკენ დაბრუნების გზა.“

წამგებიან პოზიციაში იყვნენ, ამიტომ რიუკიუს დათმობის ერთ-ერთი პირობა იყო, იაპონელებს შეეზღუდათ იაპონური ნაწარმის აშშ-ში ექსპორტი.[58]

ასევე მნიშვნელოვანი საკითხი იყო, ოკინავას დაბრუნებასთან დაკავშირებული ფინანსური საკითხები. ვიეტნამთან ომში ჩაფლულ აშშ-ს არ სურდა დამატებითი ფინანსური ხარჯების გაღება, ამიტომ შეეცადა, რომ მთლიანი ფინანსური ტვირთი იაპონიისთვის გადაელოცა. თავის მხრივ, არც იაპონიის ხელისუფლებას სურდა, საკუთარ მოსახლეობას შეჰქმნოდა განცდა, რომ ფულის სანაცვლოდ მოახერხეს იაპონიის კუთვნილი ტერიტორიის გამოსყიდვა. მოლაპარაკები რთულად წარიმართა, მაგრამ საბოლოოდ მაინც მოუწიათ იაპონელებს უკან დახევა და 320 მლნ. დოლარის გადახდას დათანხმდნენ.[59]

1969 წლის 19-21 ნოემბერს იაპონია-აშშ-ს მოლაპარაკებების შედეგად გადაწყდა, რომ რიუკიუს კუნძულები (ოკინავა) და დაიტოს კუნძულები იაპონიას 1972 წელს დაუბრუნდებოდა. აშშ-მ უარი თქვა იაპონიასთან 1951 წლის 8 სექტემბერს სან-ფრანცისკოში ხელმოწერილი სამშვიდობო ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული ყველა უფლებასა და ინტერესზე რიუკიუსა და დაიტოს კუნძულებთან მიმართებაში.[60]

ვინაიდან ოკინავას პრეფექტურა მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან აშშ-ს ადმინისტრირებას ექვემდებარებოდა, მმართველობითი სისტემა იაპონიისგან განსხვავდებოდა. ამიტომ მმართველობის გადასაბარებლად, საჭირო გახდა სხვადასხვა მოსამზადებელი სამუშაოების გატარება. ამისათვის, 1970 წლის მარტში იაპონიაში შეიქმნა „დაბრუნების მოსამზადებელი კომიტეტი“. იმავე წლის ნოემბრიდან დაწყებული, მთავრობამ სამჯერ მიიღო ოკინავას დაბრუნების გეგმა. გეგმები მოიცავდა, როგორც ეროვნულ სისტემასთან მორგებას, ასევე ოკინავას მიმართ განსაკუთრებულ ეროვნულ პოლიტიკის გატარებას.[61]

იაპონიის მმართველობაში დაბრუნებისთვის მზადების ფარგლებში განხილული იქნა შემდეგი საკითხები: 1. ოკინავას პრეფექტურაში ადგილობრივი თვითმმართველობის ოფისების შექმნა და რიუკიუს მთავრობის თანამშრომლებისთვის სტატუსის გადაცემისთვის მზადება; 2. იაპონური კანონმდებლობაზე გადასვლისთვის მზადება; 3. სახელმწიფო კორპორაციების, სახელმწიფო სახსრებისა და სხვა საჯარო ორგანიზაციების მართვის გადაცემისთვის მზადება; 4. სახელმწიფო ქონებისა და აშშ-ს აქტივების მიღების მზადება; 5. ვალუტის, დოლარიდან იენზე კონვერტაციისთვის მზადება; 6. იაპონია-აშშ-ს ძალების სტატუსის შესახებ შეთანხმების აღსრულებისთვის მზადება.[62]

---

[58] “The U.S. Returns Okinawa to Japan.”

[59]「沖縄返還協定及び関係資料」, 外務省. „ოკინავას დაბრუნების შეთანხმება და მასთან დაკავშირებული მასალები“, იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრო. accessed 2025.09.08. https://www.mofa.go.jp/mofaj/gaiko/bluebook/1972/s47-shiryou-4-1.htm#k346

[60]「沖縄返還協定資料」. „ოკინავას დაბრუნების შეთანხმების მასალები.“

[61]「日本復帰への道」. „იაპონიისკენ დაბრუნების გზა.“

[62] 宮田、「日本政府の沖縄政策」, 86. მიატა, „იაპონიის მთავრობის პოლიტიკა.“ 89.

ოკინავა პრეფექტურის იაპონიის შემადგენლობაში დაბრუნება

1971 წლის 17 ივნისს, იაპონიასა და აშშ-ს შორის გაფორმდა „შეთანხმება იაპონიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის რიუკიუს კუნძულებისა და დაიტოს კუნძულების შესახებ“. რომლის ძალითაც გადაწყდა, რომ ოკინავა ოფიციალურად დაუბრუნდებოდა იაპონიას. იაპონიის მხრიდან ხელი მოაწერა საგარეო საქმეთა მინისტრმა კიიჩი აიჩიმ, ხოლო ამერიკის მხრიდან სახელმწიფო მდივანმა უილიამ პ. როჯერსმა.

ხელმოწერის ცერემონია იაპონიის პრემიერ-მინისტრის რეზიდენციასა (ტოკიო) და სახელწიფო დეპარტამენტის საკონფერენციო დარბაზში (ვაშინგტონი) პარალელურ რეჟიმში გაიმართა. ორივე ადგილი ერთმანეთთან დაკავშირებული იყო სატელიტური კავშირით. დიპლომატიისა და მედიის ისტორიაში მსგავსი შემთხვევა პირველად მოხდა, როდესაც ოფიციალური ხელმოწერის ცერემონია პირდაპირ ეთერში გადაიცა. [63] შეთანხმება შედგებოდა 9 მთავარი მუხლისგან. [64] სხვათა შორის, იაპონური მხარის მტკიცებით, დაბრუნებულ ტერიტორიებში შედიოდა სენკაკუს კუნძულებიც, რომელიც დღესდღეობით ჩინეთსა და იაპონიას შორის სადავო ტერიტორიას წარმოადგენს.[65]

1972 წლის 15 მაისს, ოკინავაში გაისმა სირენის ხმა, რითაც მოსახლეობას ეუწყა, რომ ამერიკელთა თითქმის 27 წლიანი მმართველობა დასრულდა და ოკინავას პრეფექტურა იაპონიას ოფიციალურად დაუბრუნდა. ადგილობრივ მოსახლეობაში არაერთგვაროვანი განცდა იყო. ერთის მხრივ მათ უხაროდათ კვლავ იაპონიის შემადგენლობაში დაბრუნება, მაგრამ მეორე მხრივ მათში მაინც არსებობდა უკმაყოფილების განცდა, რომ მათი მოთხოვნის მიუხედავად ამერიკული სამხედრო ბაზები კვლავ დარჩა პრეფექტურაში. სწორედ ამიტომ, ოკინავას დაბრუნების დღეს, მაშინ, როდესაც იაპონიის მთავრობისა და ოკინავას პრეფექტურის მიერ ორგანიზებული ოკინავას იაპონიაში დაბრუნებისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონია ერთდროულად ტოკიოსა და ოკინავაში იმართებოდა, ოკინავას მთავარ ქალაქ ნაჰაში არსებულ იოგის პარკში „ოკინავას პრეფექტურის დაბრუნების საბჭოს“ მიერ ორგანიზებული „5.15 ოკინავას მიმართ განკარგულებისა და სატოს კაბინეტის საწინააღმდეგო საპროტესტო აქცია“ გაიმართა.[66]

15 მაისს ძალაში შევიდა სპეციალური კანონი, რომელიც ითვალისწინებდა ოფიციალურ არჩევნებამდე ოკინავისთვის კვლავ პრეფექტურის სტატუსის დაბრუნებას. რიუკიუს მთავრობის აღმასრულებელი დირექტორი, ოკინავას მმართველად დაინიშნა, ხოლო ადგილობრივი საკანონმდებლო ასამბლეის წევრები, ოკინავას პრეფექტურის ასამბლეის წევრები გახდნენ. იმავე წლის 25

---

[63] 大城 由希江、「沖縄の日本本土復帰とメディア報道」、 日本国立公文書館. იოშიჰირო იუკიე, „ოკინავას დაბრუნება იაპონიაში და მედიაში გაშუქება“, იაპონიის ეროვნული არქივი. accessed 2025.09.12. https://www.archives.go.jp/publication/archives/no085/12194

[64]「沖縄返還協定資料」„ოკინავას დაბრუნების შეთანხმების მასალები.“

[65] “In the Okinawa Reversion Agreement, the Senkaku Islands were included in the area over which the administrative rights were returned to Japan”. Office of Policy Planning and Coordination on Territory and Sovereignty. accessed 2025.09.10. https://www.cas.go.jp/jp/ryodo_eg/senkaku/okinawa.html

[66]「日本復帰への道」、„იაპონიისკენ დაბრუნების გზა.“

ივნისს ოფიციალურად ჩატარდა პრეფექტურის მმართველისა და ასამბლეის არჩევნები. არჩევნების შედეგად მმართველად აირჩიეს იარა ჩობიო, ხოლო ასამბლეა 44 წევრმა დააკომპლექტა.[67]

ოკინავას იაპონის მმართველობაში დაბრუნება სხვადასხვა რეფორმებს ითვალისწინებდა. მათ შორის იყო აშშ დოლარის იაპონური ვალუტით, იენით ჩანაცვლება. ვინაიდან 1971 წლის ე.წ. „ნიქსონის შოკის“ გამო, დოლარის კურსის ღირებულება დაცემული იყო, ოკინავას მოსახლეობას შიში გაუჩნდათ, რომ იენში გადაცვლის შემთხვევაში ეკონომიკურად იზარალებდნენ. იაპონიის მთავრობამ, პრობლემის მოგვარება ფინანსური კომპენსირებით სცადა, მაგრამ სოციალურმა გაურკვევლობამ და ოპორტუნისტულმა ფასებმა, ოკინავაზე ფასების ზრდა მაინც გამოიწვია.[68]

მცირე ეკონომიკური კრიზისი გამოწვია ოკინავაზე არსებული ამერიკული სამხედრო ბაზებიდან ადგილობრივი კონტრაქტორების გათავისუფლებამაც. აშშ-ს სამხედრო ბაზებზე, სხვადასხვა სამუშაოების შესასრულებლად დაახლოებით 50 000 ადგილობრივი ჰყავდათ დაქირავებული. როდესაც ოკინავას იაპონიისათვის დაბრუნება გადაწყდა, ამერიკელებმა ფინანსური ტვირთის შესამცირებლად დაახლოებით 7 000 ოკინაველი გაანთავისუფლეს ბაზებიდან. მთავრობამ უმუშევრად დარჩენილებს ფინანსური დახმარება გაუწია და მათ ახალი სამსახურების მოძიებაში შეუწყო ხელი.[69]

იაპონიის შემადგენლობაში ოკინავას დაბრუნებამდე, აშშ-ს სამხედრო ბაზები დაახლოებით 353 კმ² ფართობს მოიცავდა, რაც პრეფექტურის მთლიანი ტერიტორიის 14.8 %-ს შეადგენდა (მთავარ კუნძულზე 27.2 %). 1971 წლის ივნისში იაპონიასა და აშშ-ს მთავრობებს შორის მიღწეული შეთანხმების მიხედვით, მართალია ამერიკელებს კვლავ უნარჩუნდებოდათ ოკინავაზე სამხედრო ბაზების განთავსების უფლება, მაგრამ მათი რიცხვი შემცირდებოდა. 34 ბაზა დაუყოვნებლივ დაუბრუნდებოდა იაპონიას, 12 ბაზა გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, ხოლო 88 ბაზა კვლავ ამერიკელთა მართვაში დარჩებოდა.[70]

1971 წლის 29 ივნისის ე.წ. „კუბო-კურტისის შეთანხმების“ საფუძველზე, ოკინავას დაბრუნების შემდეგ იაპონიის მთავრობამ ოკინავაში განალაგა თავდაცვის ძალების 3 200 პერსონალი, 25 F 104 J გამანადგურებელი, ექვსი P2 J კლასიფიკაციის წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო საპატრულო თვითმფრინავი, ოთხი Nike-ის მიწა-ჰაერი ტიპის სარაკეტო დანადგარი და სამი Hawk-ის მიწა-ჰაერი ტიპის სარაკეტო დანადგარი (ყველა მიწა-ჰაერი ტიპის სარაკეტო დანაყოფზე კონტროლი, ოკინავაში განლაგებული აშშ-ს სამხედრო ძალებისგან იაპონიის თავდაცვის ძალებს გადაეცა). საბოლოოდ, თავდაცვის ძალების რაოდენობა ოკინავაში დაახლოებით 6,400-მდე გაიზარდა. თუმცა მოგვიანებით პრემიერ-

---

67 「日本復帰への道」、„იაპონიისკენ დაბრუნების გზა.“

68 「日本復帰への道」、„იაპონიისკენ დაბრუნების გზა.“

69 「日本復帰への道」、„იაპონიისკენ დაბრუნების გზა.“

70 「日本復帰への道」、„იაპონიისკენ დაბრუნების გზა.“

მინისტრ სატოს გადაწყვეტილებით, როგორც პერსონალის, ასევე შეიარაღების რიცხვი შემცირდა.[71]

ბაზების ოკინავაში დატოვების გადაწყვეტილებას ადგილობრივ მოსახლეობაში უკმაყოფილება მოჰყვა, რადგან მათ სრულ გაუქმებას მოელოდნენ. ისინი მიიჩნევდნენ, რომ აშშ-ს სამხედრო პერსონალისა და სამოქალაქო პირების მიერ გამოწვეული ინციდენტები და უბედური შემთხვევები, ასევე შექმნილი ხმაური, ოკინაველების ყოველდღიურ ცხოვრებაზე უარყოფითად ზემოქმედებდა. ასევე წუხდნენ სხვადასხვა დამაბინძურებელი ნივთიერებების მიერ გარემოზე მიყენებული ზიანის გამო.[72]

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ერთი საინტერესო ფაქტი. ოკინავას იაპონიისთვის დაბრუნება არ შედიოდა კორეის რესპუბლიკის (სამხრეთ კორეა) ინტერესებში. როგორც იაპონელი მკვლევარი ნარიტა ჩიჰირო მიუთითებს, ამის მთავარი მიზეზი ქვეყნის უსაფრთხოების შესაძლო მოშლა იყო. ისინი დაინტერესებულები იყვნენ, რომ ოკინავაზე ამერიკული სამხედრო ბაზები შენარჩუნებულიყო. კორეის ომის (1950-1953) დროს, ოკინავაზე განლაგებულ სამხედრო ბაზებმა მნიშვნელოვანი ფუნქცია შეასრულეს კორეის რესპუბლიკის დაცვაში. ნარიტას მოსაზრებით, სწორედ ამით იყო განპირობებული კორეელთა ინტერესი, რომ ბაზები კვლავ შენარჩუნებულიყო.[73]

ოკინავას დაბრუნების პროცესებში მონაწილე ტოკიოში აშშ-ს საელჩოს თანამშრომელი, ჩარლზ შმიცი 1971 წლის 17 ივნისს დადებულ ხელშეკრულებას, აშშ-ს ისტორიაში ლუიზიანას შტატის შესყიდვის შემდეგ ყველაზე წარმატებულ გარიგებად აფასებს. მისი მოსაზრებით მოლაპარაკების პროცესში, მიუხედავად იმისა, რომ იაპონელთა მოთხოვნით, რამდენიმე მცირე შესწორება შევიდა, აშშ-ს მთავარი მიზანი - ამერიკული სამხედრო ბაზების ოკინავაზე დატოვებასთან დაკავშირებით შესრულდა. ამასთან ბაზების თითქმის ყველა მიზნისთვის გამოყენების უფლებაც შეინარჩუნეს. გარდა ამისა, განთავისუფლდნენ კუნძულის მართვის უზარმაზარი ხარჯებისგან. რაც მთავარია მოიშორეს მორალური პასუხისმგებლობა, რაც აშშ-ს აზიის ქვეყნებთან ურთიერთობებში ერთგვარ იმპერიალისტურ ძალად წარმოაჩენდა.[74]

დასკვნა

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ფაქტები და მოვლენები, რომლებმაც ვფიქრობ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ოკინავას პრეფექტურის იაპონიის შემადგენლობაში დაბრუნებაზე. მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოება იყო მსოფლიოში შექმნილი გეოპოლიტიკური ვითარება. ცივი ომის დაწყებამ, აშშ

---

[71] Akikazu Yamaguchi, ''Local Defense Obligations after the Reversion of Okinawa", The National Institute for Defense Studies News, Issue 151. (2011), 4-5. accessed 2025.09.04. https://www.nids.mod.go.jp/english/publication/briefing/pdf/2011/151.pdf

[72] 「日本復帰への道」、„იაპონიისკენ დაბრუნების გზა."

[73] 成田 千尋、「沖縄返還に至る歴史を東アジア諸国の視点から捉え直す」、 立命館大学 Last modified 2023.09.04. ნარიტა ჩიჰირო, „აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების პერსპექტივიდან ოკინავას დაბრუნებამდე არსებული ისტორიის გადასინჯვა," რიცუმეიკანის უნივერსიტეტი. https://www.ritsumei.ac.jp/research/radiant/spotlight/spotlight/?id=2

[74] "Interview with Schmitz."

აიძულა მისი, იაპონიის მიმართ პოლიტიკისთვის გადაეხედა. განსაკუთრებით მას მერე, რაც ჩინეთსა და კორეის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში პოზიციები გაიმყარეს კომუნისტურმა ძალებმა. აღმოსავლეთ აზიის რეგიონში აშშ-ს სჭირდებოდა არა საოკუპაციო ზონა, არამედ ძლიერი მოკავშირე სახელმწიფო. ასეთ ქვეყნად კი, რეგიონში მხოლოდ იაპონია გამოდგებოდა (კორეის რესპუბლიკისგან განსხვავებით, იაპონია კუნძულოვანი სახელმწიფო იყო, რაც მის დაცულობის ხარისხს ზრდიდა). აშშ იაპონიას დაეხმარა ეკონომიკის აღდგენაში და თავდაცვის უნარიანობაში გაზრდაში. სწორედ ამიტომ გააფორმა მასთან „აშშ-იაპონიის უსაფრთხოების ხელშეკრულება“. აშშ-სთან სამოკავშირეო ურთიერთობებმა იაპონიას გაუადვილა, მისგან კუთვნილი ტერიტორიების დაებრუნებინა.

ოკინავას იაპონიისთვის დაბრუნებაზე, სხვა გეოპოლიტიკურმა მდგომარეობებმაც იმოქმედეს. აშშ-სთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იაპონიაში, უპირველეს ყოვლისა, ოკინავაზე არსებული სამხედრო ბაზების შენარჩუნებას. მას იყენებდა, როგორც ვიეტნამის ომში, ასევე სამხრეთ კორეაში უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით. გარდა ამისა, იაპონიაში არსებულ სამხედრო ბაზებს, აღმოსავლეთ აზიის რეგიონში საკუთარი გავლენებისა და უსაფრთხოების გამყარებისთვის დიდი როლი ეკისრებოდა. ამიტომ, როდესაც „აშშ-იაპონიის უსაფრთხოების ხელშეკრულების“ განახლების თარიღი (1970) მოახლოვდა, ტოკიომ შესანიშნავად გამოიყენა ოკინავას დაბრუნებაზე ზეწოლისთვის. ვაშინგტონი ფაქტობრივად იძულებული გახდა, სამხედრო ბაზების შენარჩუნების სანაცვლოდ, იაპონიისთვის უკან დაებრუნებინა ოკინავა.

გარდა გეოპოლიტიკური ვითარებისა, არსებობდა სხვა გარემოებებიც, რომლებმაც ვფიქრობ გადამწყვეტი როლი იქონია პროცესზე. აშშ-ს ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ გატარებულმა ხისტმა პოლიტიკამ, ოკინაველებში გააღვივა სურვილი, კვლავ იაპონიის შემადგენლობაში დაბრუნებისთვის ებრძოლათ. რომ არა, აშშ-ს ამგვარი პოლიტიკა, შესაძლოა ადგილობრივ მოსახლეობაში მძაფრად არ გაჩენილიყო ამერიკელთა საწინააღმდეგო განწყობები და იაპონიაში დაბრუნების ნაცვლად, სხვა სტატუსის ქვეშ გაეგრძელებინათ არსებობა. ამას მიუთითებს, ოკინავაში 50-იანი წლების დასაწყისიდან ოკინავას მომავალთან დაკავშირებით გაშლილი პოლემიკა, სადაც იაპონიის შემადგენლობაში დაბრუნების გარდა, სხვა მოსაზრებებიც განიხილებოდა.

მნიშვნელოვანი იყო იაპონელებში არსებული განწყობებიც. პრემიერ-მინისტრ ეისაკუ სატოს პრინციპული პოზიცია რომ ოკინავას აუცილებლად უნდა დაბრუნებოდა იაპონიას, სატოს ფაქტობრივად საკუთარი განცხადების ტყვედ აქცია და ჩიხში მოექცა, რამაც ძლიერი მოტივაცია მისცა ყველაფერი გაეკეთებინა მიზნის მისაღწევად. პროცესზე გავლენა იქონია, ოკინავაში იარა ჩობიოს არჩევამაც, რომელიც დამატებითი სტიმული აღმოჩნდა მმართველი „ლიბერალ-დემოკრატიული პარტიისთვის“. ასევე დიდი წვლილი შეიტანა ორგანიზაცია „იაპონიის სამოქალაქო კავშირის“ მიერ გამოკვლეულმა ადამიანის უფლებების დარღვევების ფაქტებმა ოკინავაში. გამოაშკარავებულმა პრობლემებმა, იაპონელებში დიდი აღშფოთება გამოიწვია და ოკინავას დაბრუნების მოთხოვნით, სხვადასხვა საპროტესტო მოძრაობა გაიშალა. ხალხში არსებულმა განწყობებმა, მთავრობას დამატებითი წნეხი შეუქმნა, რომ ოკინავას დაბრუნებისთვის ყველაფერი გაეკეთებინა.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ოკინავას დაბრუნებით ორივე მხარე დარჩა მოგებული. იაპონიამ მოახერხა კუთვნილ ტერიტორიაზე სუვერენიტეტის აღდგენა, ხოლო აშშ-მ შეინარჩუნა სამხედრო ბაზები. მართალია ამერიკული ბაზების არსებობა ადგილობრივ მოსახლეობაში, განსაკუთრებით ოკინაველებში გარკვეულ უკმაყოფილებას იწვევს, თუმცა, ვფიქრობ, არსებული გეოპოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით ბაზების არსებობა იაპონიისთვის უფრო დადებითი მოვლენაა, ვიდრე უარყოფითი. მართალია „აშშ-იაპონიის უსაფრთხოების ხელშეკრულებით“, იაპონიაზე ვრცელდება ე.წ. „ბირთვული ქოლგა“, მაგრამ ამერიკული სამხედრო ბაზების არსებობა, უფრო მეტი სიმშვიდის გარანტიაა, რომელიც ირიბად ქვეყნის ფინანსურ მდგრადობასაც უწყობს ხელს.

ბიბლიოგრაფია -Bibliography

斎藤信、五味文彦、高埜利彦、鳥海靖.「日本史研究」. 山川出版社、２０１２.

სატო მაკოტო, გომი ჰუმიჰიკო, ტაკანო ტოშიჰიკო, ტორიუმი იასუში (რედაქტორები). „იაპონიის ისტორიის კვლევები.“ იამაგავა. 2012.

ინტერნეტ-რესურსები - Web resources

Yamaguchi Akikazu. ‘’Local Defense Obligations after the Reversion of Okinawa.” The National Institute for Defense Studies News, Issue 151. (2011). Accessed 2025.09.04. https://www.nids.mod.go.jp/english/publication/briefing/pdf/2011/151.pdf

Asia Pacific Journal Japan Focus. Fumi Inoue. ‘’Japanese Solidarity with U.S. - Occupied Okinawa In The 1950s: Reflections On The Fiftieth Anniversary.” Last modified 2022.05.18. https://apjjf.org/2022/10/inoue

Asia Pacific Journal Japan Focus. Steve Rabson, ‘’ ’Secret” 1965 Memo Reveals Plans to Keep U.S. Bases and Nuclear Weapons Options in Okinawa After Reversion.” Last modified 2010.02.10. https://apjjf.org/steve-rabson/3294/article

Association for Diplomatic studies and Training. “The U.S. Returns Okinawa to Japan, 1971.” Accessed 2025.09.04. https://adst.org/2016/07/u-s-returns-okinawa-japan-1971/

Library of Congress. ‘’Interview with Charles A. Schmitz”, Initial interview date: July 29, 1993. Accessed 2025.09.08. https://tile.loc.gov/storageservices/service/mss/mfdip/2004/2004sch10/2004sch10.pdf

Office of Policy Planning and Coordination on Territory and Sovereignty. ‘’In the Okinawa Reversion Agreement, the Senkaku Islands were included in the area over which the administrative rights were returned to Japan.” Accessed 2025.09.10. https://www.cas.go.jp/jp/ryodo_eg/senkaku/okinawa.html

Uechi Satoko. ‘’Imagining Different Futures: Okinawans’ Arguments for Reversion to Japan in 1951,” Journal of Inter-Regional Studies: Regional and Global Perspectives. Vol.2. (2019). Accessed 2025.09.10. https://www.waseda.jp/inst/oris/assets/uploads/2018/03/06_Imagining-Different-Futures_Satoko-Uechi.pdf

The Historian of the U.S. Department of State. ‘’National Intelligence Estimate,” - Foreign Relations of the United States, 1969–1976, Volume XIX, Part 2, Japan, 1969–1972.” Accessed 2025.09.15. https://history.state.gov/historicaldocuments/frus1969-76v19p2/d3

The Historian of the U.S. Department of State. “Memorandum from the President’s Assistant for National Security Affairs (Kissinger) to President Nixon. National Intelligence Estimate”- Foreign Relations of the United States, 1969–1976, Volume XIX, Part 2, Japan, 1969–1972”. Accessed 2025.09.14. https://history.state.gov/historicaldocuments/frus1969-76v19p2/d4

沖縄県公文書館.「アイスバーグ作戦」. ოკინავას პრეფექტურის არქივი. „ოპერაცია „აისბერგი.“ Accessed 2025.08.21. https://www.archives.pref.okinawa.jp/event_information/past_exhibitions/938

沖縄県公文書館.「沖縄戦降伏調印文書」. ოკინავას პრეფექტურის არქივი. „ოკინავას ბრძოლაში დანებების დოკუმენტი.“ Accessed 2025.09.01. https://www.archives.pref.okinawa.jp/event_information/past_exhibition/surrender

沖縄県公文書館.「日本復帰への道」. ოკინავას პრეფექტურის არქივი. „იაპონიის შემადგენლობაში დაბრუნების გზა.“ Accessed 2025.08.30. https://www.archives.pref.okinawa.jp/event_information/past_exhibitions/934#1

外務省.「日米安全保障条約（主要規定の解説.）」. იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრო. „იაპონია-აშშ-ს უსაფრთხოების ხელშეკრულება (ძირითადი დებულებების განმარტება).“ Accessed 2025.09.04. https://www.mofa.go.jp/mofaj/area/usa/hosho/jyoyaku_k.html

外務省.「沖縄返還協定及び関係資料」. იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრო. „ოკინავას დაბრუნების შეთანხმება და მასთან დაკავშირებული მასალები.“ Accessed 2025.09.08. https://www.mofa.go.jp/mofaj/gaiko/bluebook/1972/s47-shiryou-4-1.htm#k346

宮田裕、「日本政府の沖縄政策～戦後処理から沖縄振興へ」地域研究. Ｎ 22（２０１８）. მიატა ჰიროში. „იაპონიის მთავრობის ოკინავას პოლიტიკა: ომის შემდგომი დასახლებიდან ოკინავას აღორძინებამდე,“ რეგიონალური კვლევები N 22 (2018). Accessed 2025.09.12. https://www.okinawa-u.ac.jp/wordpress/wp-content/uploads/2020/10/%E3%80%90%E3%83%87%E3%83%BC%E3%82%BF%E3%80%91%E5%9C%B0%E5%9F%9F%E7%A0%94%E7%A9%B6No.22.pdf

国立公文書館.「琉球諸島及び大東諸島に関する日本国とアメリカ合衆国との間の協定・御署名原本・昭和四十七年・第一三巻・条約第二号」. იაპონიის ეროვნული არქივი. „იაპონიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის რიუკიუს კუნძულებისა და დაიტოს კუნძულების შესახებ შეთანხმება, ორიგინალი იმპერიული ხელმოწერით, 1972, ტომი 13, ხელშეკრულება №2.“ Accessed 2025.08.21. https://www.archives.go.jp/ayumi/kobetsu/s47_1972_02.html

世界史の窓.「琉球／琉球王国」. მსოფლიო ისტორიის ფანჯარა. „რიუკიუ/რიუკიუს სამეფო.“ accessed 2025.09.11. https://www.y-history.net/appendix/wh07-035.html

成田 千尋.「沖縄返還に至る歴史を東アジア諸国の視点から捉え直す」、立命館大学. ნარიტა ჩიჰირო, „აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების პერსპექტივიდან ოკინავას დაბრუნებამდე არსებული ისტორიის გადასინჯვა,“, რიცუმეიკანის უნივერსიტეტი. Last modified 2023.09.04. https://www.ritsumei.ac.jp/research/radiant/spotlight/spotlight/?id=2

日本国立公文書館. 大城 由希江、「沖縄の日本本土復帰とメディア報道」、იაპონიის ეროვნული არქივი. იოშიჰირო იუკიე, „ოკინავას დაბრუნება იაპონიაში და მედიაში გაშუქება.“ Accessed 2025.09.12. https://www.archives.go.jp/publication/archives/no085/12194

Nippon.com. 軽部 謙介、「復帰時から重い負担背負った沖縄経済：いつ実現する「本土並み」」. კენსუკე კარუბე, „ეკონომიკური კრიზისის გაუმჯობესების შემდეგ, ოკინავას ეკონომიკამ მძიმე ტვირთი იკისრა: როდის მიაღწევს ის „კონტინენტური დონის“ სტატუსს?.“ ნიპონ.კომ. Last modified 2022.04.13. https://www.nippon.com/ja/in-depth/a08203/